საიდ. №69530/03

IR 1114359

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №30-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „იოჰ. ვილ. ფონ აიკენ გმბჰ” (Joh. Wilh. von Eicken GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №30-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 02 დეკემბრის №2468/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც კომპანია „სება დის თიჯარეთ ვე ნაკლიიატ ანონიმ შირკეთი“-ის (SEBA DIŞ TİCARET VE NAKLİYAT ANONIM ŞİRKETİ) სახელზე საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „SEBA TRADITION“ (საიდ. №69530/03 IR 1014359) მიენიჭა დაცვა საქართველოში 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „იოჰ. ვილ. ფონ აიკენ გმბჰ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებობს აღრევის საფრთხე, რადგან საერთო შთაბეჭდილებით ისინი ერთმანეთის მსგავსია და განკუთვნილია ერთი და იმავე სახის საქონლის მოსანიშნად, რაც გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. აპელანტის პოზიციით, ორივე ნიშანი კომბინირებულია და წარმოადგენს გამოსახულებას სიტყვიერი ელემენტებით, ორივე ნიშანი შესრულებულია ერთი და იმავე ფერებით. დაპირისპირებულ ნიშნებში წამყვანი ელემენტია სიტყვა „TRADITION". ორივე ნიშანში წამყვანი ელემენტი შესრულებულია იდენტურად - ოქროსფერ ფონზე წითელი ფერის ლათინური შრიფტით, კურსივით, სადაც პირველი და ბოლო ასოები უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენები. აპელანტის მითითებით, ორივე ნიშანში წამყვანი ელემენტის თავზე ლათინური ასომთავრული ასოებით შესრულებულია წარწერები - SEBA და JOHANN WILHELM VON EICKEN. ორივე ნიშანში აღნიშნული წარწერები შესრულებულია ოქროსფრად და დაპირისპირებული ნიშნები განკუთვნილია ერთი და იმავე კლასის იდენტური საქონლისთვის. აპელანტის განმარტებით, ვინაიდან ორივე ნიშანში ძირითადი დატვირთვის მატარებელია სიტყვა „TRADITION", ხოლო წარწერები შესრულებულია უფრო წვრილი შრიფტით, აშკარაა, რომ მომხმარებლისთვის თვალშისაცემი იქნება სწორედ სიტყვა „TRADITION" და ფონი, რომელზეც შესრულებულია იგი. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ნიშანი განკუთვნილია ფართო მოხმარების პროდუქციისათვის, რომლის შეძენისას, მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტებისგან განსხვავებით, მომხმარებელს არ მოეთხოვება მომეტებული ყურადღება, აღრევის საფრთხე აშკარაა. გასათვალისწინებელია აგრეთვე, ის გარემოება, რომ გერმანული კომპანია დაარსებულია 1770 წელს და დიდი

ტრადიციებით გამოირჩევა. მას 34-ე კლასში რეგისტრირებული აქვს 70 საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი. აპელანტის მითითებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშნების მსგავსების დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას. სწორედ საერთო შთაბეჭდილებით არის დაპირისპირებული ნიშნები ერთმანეთის მსგავსი აღრევამდე, რის გამოც არ შეიძლება მოხდეს მისი დაცვის გავრცელება საქართველოში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 02 დეკემბრის №2468/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც კომპანია „სება დის თიჯარეთ ვე ნაკლიიატ ანონიმ შირკეთი“-ის (SEBA DIŞ TİCARET VE NAKLİYAT ANONIM ŞİRKETİ) სახელზე საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „SEBA TRADITION“ (საიდ. №69530/03 IR 1014359) მიენიჭა დაცვა საქართველოში 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „SEBA TRADITION” და აპელანტის კუთვნილი ნიშანი „JOHANN WILHELM VON EICKEN TRADITION” წარმოადგენენ არღევამდე მსგავს ნიშნებს. ორივე ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერი ელემენტების გარდა შეიცავს გამოსახულებით ელემენტებს, ორივე ნიშანი შესრულებულია ერთი და იმავე ფერებით. ნიშნებში იდენტურია სიტყვიერი ელემენტი „TRADITION”. განცხადებული ნიშანი „SEBA

TRADITION” შესრულებულია ლათინური ანბანით, რომლის სიტყვიერი ელემენტები ჩაწერილია მუქი ოქროსფერი ფერის მართხუთხედზე. კოლეგიის აზრით, ნიშანში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სიტყვაზე ,,TRADITION”. განცხადებულ ნიშანში სიტყვის ,,SEBA“-ს ქვემოთ განლაგებულია შესამჩნევად უფრო დიდი შრიფტით შესრულებული აღნიშვნა ,,TRADITION”. თავად სიტყვა ,,TRADITION” წითელ ფერშია გამოსახული, ამასთან განსხვავებულია სიტყვის პირველი და ბოლო ასოები ,,T” და ,,N”, რომლებიც სხვა დანარჩენ ასოებთან შედარებით გამოკვეთილად უფრო დიდი შრიფტით არის ჩაწერილი, რაც კიდევ უფრო სძენს სიტყვას ,,TRADITION” დომინანტურ მნიშვნელობას. რაც შეეხება აპელანტის კუთვნილ სასაქონლო ნიშანს იგი ასევე წარმოადგენს ლათინური ანბანით შესრულებულ ნიშანს, რომლის სიტყვიერი ელემენტები ასევე გამოსახულია ოქროსფერ ფონზე. აპელანტის კუთვნილ ნიშანშიც, მასზე დაკვირვებისას ძირითადი აქცენტი კეთდება სწორედ სიტყვაზე ,,TRADITION”, იგი სხვა სიტყვებთან შედარებით შესამჩნევად დიდი შრიფტით არის ჩაწერილი, რომელიც ასევე წითელ ფერშია შესრულებული და ამ შემთხვევაშიც პირველი და ბოლო ასოები უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენები. კოლეგია, თვლის, რომ დაპირისპირებული ნიშნების შედარებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ნიშნის დომინანტ ელემენტებს. კერძოდ, ელემენტებს, რომლებიც შესრულების სტილის, ფერების, შრიფტის, პოზიციის გათვალისწინებით წარმოადგენენ ნიშნის ვიზუალურად გამორჩეულ ნაწილს და იქცევენ მომხმარებლის გასაკუთრებულ ყურადღებას. ორივე დაპირისპირებული ნიშნის დომინანტ ელემენტს წარმოადგენს ლათინური შრიფტით წითელ ფერში შესრულებული სიტყვიერი აღნიშვნა „TRADITION“, რომლის შესრულების სტილი, შრიფტი, ფერი და პოზიცია თითქმის იდენტურად მეორდება დაპირისპირებულ ნიშნებში. ამასთან, მსგავს სტილში და ფერებშია შესრულებული დაპირისპირებული ნიშნების დანარჩენი ელემენტები, რაც კიდევ უფრო ზრდის ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, მსგავსია ნიშნების 34-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი. კოლეგია თვლის, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის

შემთხვევაში, აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნების, ერთ სასაქონლო ბაზარზე თანაარსებობის პირობებში, იარსებებს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „SEBA TRADITION" (საიდ. №69530/03 IR 1014359) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „იოჰ. ვილ. ფონ აიკენ გმბჰ" (Joh. Wilh. von Eicken GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 02 დეკემბრის №2468/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „SEBA TRADITION" (საიდ. №69530/03 IR 1014359) დაცვის მინიჭების შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „SEBA TRADITION" (საიდ. №69530/03 IR 1014359) უარი ეთქვას საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის მინიჭებაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ქ. კილაძე

დ. ჭიჭინაძე